საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან არსებული სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში - სამეთვალყურეო საბჭო) არის „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან არსებული საკონსულტაციო ფუნქციების მქონე ორგანო.

მუხლი 2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

1. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 7 წევრისაგან. მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი 2 ექსპერტი არასამთავრობო სექტორიდან.

3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეა.

მუხლი 2. სამეთვალყურეო საბჭოს მიზანი

სამეთვალყურეო საბჭოს მიზნები და ფუნქციებია:

ა) დაზღვევის სფეროში ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა;

მუხლი 3. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები

სამეთვალყურეო საბჭო თავისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად უფლებამოსილია:

ა) დასანიშნად ან/და გასათავისუფლებლად წარუდგინოს მთავრობას დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის კანდიდატურა;

ბ) მოისმინოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წლიური და კვარტალური ანგარიში;

გ) გამოითხოვოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურიდან მათ ხელთ არსებული/მათ კომპეტენციას მიკუთვნებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია;

დ) ინფორმაციის მისაღებად ან კითხვების არსებობის შემთხვევაში მოიწვიოს საბჭოს სხდომაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, მისი მოადგილეები ან ნებისმიერი თანამშრომელი;

ე) შეიმუშაოს რეკომენდაციები;

ვ) საჭიროების შემთხვევაში აცნობოს თავისი რეკომენდაციების შესახებ საქართველოს მთავრობას;

ზ) შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტების დახვეწის მიზნით, შესაბამისი ორგანოების მიერ ცვლილებების განსახორციელებლად.

მუხლი 4. სამეთვალყურეო საბჭოს შეკრების და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება კალენდარული წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ.

2. სამეთვალყურეო საბჭოს შეკრების დროს და ადგილს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

3. სამეთვალყურეო საბჭოს შეკრების შესახებ ინფორმაცია მის წევრებს უნდა ეცნობოს 3 დღით ადრე მაინც.

4. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსსა და სხვა მოწვეულ პირებს მათი დასწრების საჭიროების შემთხვევაში ასევე ინფორმაცია მიეწოდება სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე მაინც.

5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის უფლებაუნარიანობა განისაზღვრება დამსწრეთა (სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა) უბრალო უმრავლესობით.

6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ სხდომის თავმჯდომარედ განსაზღვრული წევრი.

7. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

8. გადაწყვეტილების მიღებისას ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.

9. საჭიროების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს შეკრების, საქმიანობის და გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური.

10. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს ყველა დამსწრე საბჭოს წევრი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.

11. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების, მიღებული გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების შენახვას უზრუნველყოფს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.

ირაკლი კოვზანაძე
საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო
კომიტეტის თავმჯდომარე

დიმიტრი ქუმსიშვილი
საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი
საქართველოს ფინანსთა მინისტრი

გიორგი გახარია
საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი

დავით სერგეენკო
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრი

ლევან დავითაშვილი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

გრიგოლ ჭირაქაძე
ა(ა)იპ – საქართველოს
ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი

ელგუჯა მელაძე
ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა
ასოციაციის პრეზიდენტი